თბილისის სამედიცინო აკადემია ელექტრონული გაზეთი

ძვირფასო მკითხველო,

მოხარული ვართ, გაგიზიაროთ თბილისის სამედიცინო აკადემიის (თსა) ელექტრონული გაზეთის მეორე გამოცემა. ამ გამოცემაში გაეცნობით ინფორმაციას თსა-ში *2022* წლის სექტემბრიდან *2023* წლის თებერვლის ჩათვლით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

პატივისცემით,
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური

ამ გამოცემაში:

- **თსა 30 წლის!**
- **განათლება და პარტნიორობები**
- **თსა-ს სოციალური პასუხისმგებლობა**
- **სტუდენტური ცხოვრება**
- **ბლოგები**

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიას 2022 წელს დაარსების 30 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით აკადემიის სივრცეში თუ მის ფარგლებს გარეთ არაერთი ღონისძიება გაიმართა, რომელიც მოიცავდა ღონისძიებებს სტუდენტებისთვის, აკადემიური პერსონალისთვის და კურსდამთავრებულთათვის.

თსა-ში Horizon Europe-ის საგრანტო ოფისი გაიხსნა

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის (თსა) 30 წლის საიუბილეო კვირეულის ფარგლებში პირველი ღონისძიება გაიმართა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ნუნუ მიცკევიჩმა და თბილისის სამედიცინო აკადემიის რექტორმა ირინე შოთაძემ თსა-ში Horizon Europe-ის საგრანტო ოფისი საზეიმოდ გახსნეს.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგრანტო ოფისების დაფუძნების უმთავრესი მიზანია ქართველ მკვლევართა ჯგუფების ხელშეწყობა კონკურენტუნარიანი საპროექტო განაცხადების მომზადების პროცესში, რაც ევროკავშირის საგრანტო კონკურსებში მათ წარმატებულ მონაწილეობას შეუწყობს ხელს.

ღონისძიების ფარგლებში, თსა-ს რექტორმა, CIMED-ის ხელმძღვანელები პროფესორები ჟოზეტ დენეკენსი და ჰერმან ვან როსუმი საპატიო პროფესორის წოდებით დააჯილდოვა.

Easmus+-ის პროექტის SAFEMED+-ის შედეგების დისემინაცია

თბილისის სამედიცინო აკადემიის 30 წლის საიუბილეო კვირეულის ფარგლებში თსა-ში Erasmus+-ის პროექტის SAFEMED+-ის შედეგების დისემინაცია გაიმართა.

პრეზენტაცია წარადგინეს თსა-ს ვიცე-რექტორმა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით ია ავალიანმა და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელმა ცისანა ლომაშვილმა. მომხსენებლებმა აუდიტორიას მიაწოდეს ინფორმაცია პროექტის მიმდინარეობის შესახებ, ასევე, ისაუბრეს პროექტის განხორციელების პროცესში მიღწეულ შედეგებზე.

სამწლიანი პროექტი აკრონიმით 'SAFEMED+' (Simulation in Undergraduate Medical Education for Improvement of Safety and Quality of Patient Care), მიზნად ისახავს კომპეტენციაზე დაფუძნებული, სამედიცინო სიმულაციური სწავლების დანერგვას და განვითარებას მონაწილე უნივერსიტეტებში, მოთხოვნების შესაბამისად, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა შორის სათანადო კლინიკური კომპეტენციების ჩამოყალიბებას.

პროექტი შეიქმნა, დაიგეგმა და ხორციელდება უშუალოდ თსა-ს თაოსნობით, რომელმაც გააერთიანა კონსორციუმი, სადაც თავმოყრილია ცხრა უნივერსიტეტი საქართველოდან, სომხეთიდან, უკრაინიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან და ლიეტუვიდან.

რა? სად? როდის?

თბილისის სამედიცინო აკადემიის 30 წლის საიუბილეო კვირეულის ფარგლებში, რიგით მეორე დღე ინტელექტუალურ თამაშს „რა? სად? როდის?“ მიეძღვნა.
2022 წლის ზამთრის თამაშში მონაწილეობა თსა-ს 60-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო.
დაძაბული და საინტერესო თამაშის შედეგად გამარჯვებული გუნდი „მორიარტი“ გახდა.

მულტიკულტურული ღონისძიება

თსა-ს 30 წლის საიუბილეო კვირეული მულტიკულტურული ღონისძიებით გაგრძელდა.
ღონისძიებაზე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელმა სტუდენტებმა წარმოაჩინეს საკუთარი ქვეყნის კულტურა პრეზენტაციებისა და ნაციონალური ცეკვების სახით.

მედიცინა და მეცნიერება 2022

30 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კვირეულის ფარგლებში, თსა-ში გაიმართა საერთაშორისო სტუდენტური სიმპოზიუმი "მედიცინა და მეცნიერება 2022". ღონისძიება მიზნად ისახავდა სტუდენტური კვლევების და სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეწყობას. მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისის სამედიცინო აკადემია), უნგრეთის (პეჩის უნივერსიტეტი), პოლონეთის (ლოძის სამედიცინო უნივერსიტეტი) და უკრაინის (ტერნოპილის ეროვნული სამედიცინო უნივერსიტეტი, კიევის ტარას შევჩენკოს ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის პალადინის ბიოქიმიის ინსტიტუტი) უნივერსიტეტების სტუდენტებმა. ღონისძიების სამეცნიერო კომიტეტის წევრები იყვნენ პროფესორები: ანდრეას კაუფმანი (შარიტე - ბერლინის საუნივერსიტეტო მედიცინის კლინიკა, გერმანია), მლადენ კრაიაჩიჩი (ზაგრების უნივერსიტეტი, ხორვატია), ოსვალდას რუკსენასი (ვილნიუსის უნივერსიტეტი, ლიეტუვა).

საერთაშორისო სტუდენტური სიმპოზიუმის სამეცნიერო კომიტეტის მიერ საუკეთესო პრეზენტაციების კატეგორიაში ნომინირებული იყო:

- მარიამ ქევხიშვილი და კონსტანტინე გაჩეჩილაძე (თსა) - გარიყვიდან აცილებამდე;
- გიორგი ბოკერია (თსუ) - აორტის სარქვლის ნეოკუსპიდიზაცია გლუტარალდეჰიდით დამუშავებული აუტოლოგიური პერიკარდიუმით (ოზაკის პროცედურა) საქართველოში.

საერთაშორისო სტუდენტური სიმპოზიუმის "მედიცინა და მეცნიერება 2022" საორგანიზაციო კომიტეტის წევრები იყვნენ თსა-ს სტუდენტები, რომლებმაც ასევე დაასახელეს თავისი ფავორიტები:

- თამარ დანდურიშვილი (თსა) - ამიგდალას და ჰიპოკამპის ქვერეგიონებით განპირობებული ტრავმის შემდგომი ტიპური გამოსავალი
- დიანა მამულაძე (თსა) - ალტერნატიული მედიცინის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ფოტოგამოფენა „სოფლის ექიმის ექვსი დღე“

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის 30 წლის საიუბილეო კვირეულის ფარგლებში ფოტოგამოფენა „სოფლის ექიმის ექვსი დღე“ გაიმართა. ახალი, ტრანსდისციპლინური პროექტის მიზანია საზოგადოებაში სოფლის ექიმების შესახებ ცნობადობის ამაღლება და ამავდროულად, სტუდენტებში პროფესიონალიზმის გაღვივება.

ფოტოგამოფენაზე მედიცინის სტუდენტებმა საზოგადოებას გააცნეს მაღალმთიანი აჭარის ექიმების მრავალფეროვანი ცხოვრება, ამასთან, კოლეგებსა და საზოგადოებას თავისი პერსპექტივიდან დანახული ექიმის პროფესია გაუზიარეს. თავის მხრივ, პროექტის მონაწილე ექიმებმა აღნიშნეს, რომ მათთვისაც მნიშვნელოვანი იყო ახალგაზრდა მომავალ კოლეგებთან ურთიერთობა და ხაზი გაუსვეს პროექტის მნიშვნელობას, “სასიამოვნო იყო ისიც, რომ მსგავსი პროექტი არასოდეს განხორციელებულა, მათ შეძლეს და ფოტოებით აჩვენეს სოფლის ექიმის როლი და მნიშვნელობა“ - შორენა ცინარიძე, ოჯახის ექიმი ხულოდან.

ფოტოპროექტის შესახებ გამოიცა ჟურნალი, სადაც მოთხრობილია სტუდენტების შთაბეჭდილებები და წარმოდგენილია მათ მიერ გადაღებული ფოტომასალა.

პროექტის ფარგლებში ზემო აჭარაში ორგანიზებული ექსპედიციაის მონაწილე თსა-ს ექვსი სტუდენტი ერთი კვირის განმავლობაში სხალთაში, ღორჯომში და დაბა ხულოში სოფლის ექიმების ყოველდღიურობასა და სამუშაო პროცესს აკვირდებოდა და ფოტოკამერით აღბეჭდავდა.

პროექტს გამოხმაურება მოჰყვა მედიის მხრიდანაც. ფოტოპროექტი "სოფლის ექიმის ექვსი დღე" - საზოგადოებრივი მაუწყებლის ობიექტივშიც მოხვდა. ვრცლად სიუჟეტი იხილეთ ბმულზე:

https://www.youtube.com/watch?v=Rs2EdwIwcj8

გამოფენას სიუჟეტი მიუძღვნა ტელეკომპანია ფორმულამაც:
https://www.youtube.com/watch?v=ydvvye-XSUU

საიუბილეო კვირეულის დასკვნითი ღონისძიება

თსა-ს 30 წლის საიუბილეო კვირეულის დასკვნითი ღონისძიება აკადემიაში გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ აკადემიის სხვადასხვა თაობის კურსდამთავრებულები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი. თსა-ს რექტორმა ირინე შოთაძემ მოწვეულ სტუმრებს გაუზიარა თსა-ს ისტორია, მიღწევები, სიახლეები და სამომავლო გეგმები.

განათლება და პარტნიორობები

AMEE-ს კონფერენცია

ევროპის სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის (AMEE) ყოველწლიურ კონფერენციაზე (AMEE 2022), რომელიც ლიონში (საფრანგეთი) გაიმართა, თსა-მ ორი თემა წარადგინა.
თსა-ს ვიცე რექტორმა კვლევის მიმართულებით ეკატერინე კლდიაშვილმა და სამედიცინო განათლების კვლევის სპეციალისტმა დეა გოდერძიშვილმა წარადგინეს ზეპირი მოხსენება: „Virtual Patient Simulators as a Pilot of eHealth Introduction in Medical Curricula“, ხოლო ფაკულტეტის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მაკა ზარნაძემ, ელექტრონული პოსტერი თემაზე “The impact of the Self-Reflection on the Identification Learning needs of the Medical Students during preclinical years “.
AMEE-ს კონფერენცია წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა სამედიცინო განათლებაში ჩართული ყველა პირისათვის. წელს კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 90-ზე მეტმა სამედიცინო სკოლამ.

CIMED - სამედიცინო განათლების ინოვაციების ცენტრი

თბილისის სამედიცინო აკადემიას (თსა) სამედიცინო განათლების ინოვაციების ცენტრის (CIMED) ხელმძღვანელები პროფესორი ჟოზეტ დენეკენსი და პროფესორი ჰერმან ვან როსუმი (ანტვერპენი/ბელგია) სტუმრობდნენ.
ხუთ დღიანი ვიზიტის ფარგლებში სამუშაო შეხვედრები გაიმართა თსა-ს ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ პედაგოგებთან. პედაგოგებმა წარადგინეს ინტეგრირებული ქეისები და შესაბამისი ინტეგრირებული დავალებები, იმსჯელეს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მაგალითებზე თავიანთი სასწავლო კურსების ფარგლებში, უკუკავშირისა და გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული სწავლების ორგანიზებაზე და პორტფოლიოს შემდგომი განვითარების შესაძლებლობებზე.
კვირეულის ფარგლებში ასევე ჩატარდა ტრენინგები პედაგოგებისათვის სხვადასხვა თემაზე.

მედიცინა და ხელოვნება 2022

24 სექტემბერს პროექტის „მედიცინა - ხელოვნებაში ასახული ისტორია“ ფარგლებში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია „მედიცინა და ხელოვნება 2022“. ღონისძიების მონაწილეებმა პრეზენტაციების სახით წარმოადგინეს მედიცინისა და ხელოვნების ინტეგრაციის მაგალითები და მაკათონის ფარგლებში ჩამოაყალიბეს პროექტის სლოგანი და მისი გაგრძელების კონცეფცია. პროექტი „მედიცინა - ხელოვნებაში ასახული ისტორია“ მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ.

გრიგორი პოპას სახელობის მედიცინის და ფარმაციის უნივერსიტეტი

თსა-ს ახალი პარტნიორი ჰყავს - გრიგორი პოპას სახელობის მედიცინის და ფარმაციის უნივერსიტეტი (იაში, რუმინეთი), რომელიც მიმდინარე წლის Erasmus+ მობილობის პროექტების ფარგლებში დაფინანსდა.
მიღებული გრანტი მიზნად ისახავს როგორც სტუდენტების და პერსონალის წევრების მობილობის ხელშეწყობას პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის, ასევე საუკეთესო პრაქტიკების და გამოცდილებების გაზიარებას მომავალი სამი წლის განმავლობაში.

განათლება და პარტნიორობები

ბელგიელი კოლეგები თსა-ში

თბილისის სამედიცინო აკადემიამ, Erasmus-ის თანამშრომელთა მობილობის პროგრამის ფარგლებში, ბელგიელ კოლეგებს უმასპინძლა. თსა-ს სტუმრობდნენ ზოგადი პრაქტიკის/საოჯახო მედიცინის მასწავლებელთა ევროპული აკადემიის პრეზიდენტი, ოჯახის ექიმთა ტრენერთა ჯგუფის ხელმძღვანელი, ანტვერპენის უნივერსიტეტის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის ხელმძღვანელი ნელე მიჩელსი, ასევე, კომუნიკაციური უნარ-ჩვევების ხაზის კოორდინატორები (ანტვერპენის უნივერსიტეტი) კრისტინ ვან დენ ბოგერდი და კატრინ ბომბეკე.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, კლინიკური და საბაზისო საგნების პედაგოგებმა გაიარეს ტრენინგი თემებზე: როგორ ვასწავლოთ და შევაფასოთ კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, როგორ ვასწავლოთ პაციენტის კონსულტაციის უნარ-ჩვევები და როგორ მოვამზადოთ სიმულაციური პაციენტი. თსა-ს აკადემიურმა პერსონალმა და მოწვეულმა პედაგოგებმა ბელგიელ კოლეგებს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება კომუნიკაციური უნარ-ჩვევების სწავლება/შეფასების მიმართულებით და სიმულაციური პაციენტების საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მაგალითები.

ქართველმა და ბელგიელმა კოლეგებმა განიხილეს თსა-ში 2022 წლის ზაფხულში ჩატარებული ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) შედეგები და სტატისტიკური მახასიათებლები.

თსა-ს ახალი პარტნიორი - CyberPatient

თბილისის სამედიცინო აკადემიის ახალი პარტნიორი - CyberPatient ჰყავს. იგი წარმოადგენს 24/7 ვირტუალურ კლინიკურ სივრცეს. აღნიშნული სიმულაციური პლატფორმა არის უსაფრთხო, ვირტუალური სასწავლო გარემო, რომლის გამოყენებით სტუდენტებს შეუძლიათ ონლაინ განიხილონ 130-ზე მეტი კლინიკური შემთხვევა.

CyberPatient სასწავლო ინსტრუმენტია, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების კლინიკური კომპეტენციების და ზუსტი გადაწყვეტილების მიღების უნარის განვითარებას.

თსა AMSE-ს კონფერენციაზე

საქართველომ ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის (AMSE) ყოველწლიურ კონფერენციას უმასპინძლა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ სამედიცინო განათლების განვითარების პოლიტიკის განმსაზღვრელი ევროპული და საერთაშორისო ინსტიტუციების წარმომადგენლები: სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაცია (WFME), ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭო (EUA-CDE), ევროპულ სისტემაში ბიომედიცინის და ჯანმრთელობის მეცნიერებების მიმართულებით სადოქტორო განათლების ორგანიზაცია (ORPHEUS) და მედიცინის სტუდენტთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია (IFMSA). კონფერენციაზე თბილისის სამედიცინო აკადემია სამი თემით წარსდგა:

- ხელოვნება, როგორც სამედიცინო განათლების სწავლების ეფექტური მიდგომა - მაკა ზარნაძე, ასოცირებული პროფესორი, თსა-ს ფაკულტეტის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- საბაზისო სწავლების ეტაპზე ინტეგრირებულ მოდულებში PSI კურიკულუმის იმპლემენტაცია - ცისანა ლომაშვილი, თსა-ს ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- კვლევის ხაზის სასწავლო კურსის დასაწყისში კლინიკური მსჯელობის აქტივობის გამოყენება დამამთავრებელი კურსის სტუდენტების კვლევისადმი ინტერესის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს - ეკატერინე კლდიაშვილი, პროფესორი, თსა-ს ვიცე-რექტორი კვლევის მიმართულებით.

განათლება და პარტნიორობები

აკადემიური კეთილსინდისიერება როგორც სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტი

19 ოქტომბერს თსა-ში ჩატარდა ტრენინგი „აკადემიური კეთილსინდისიერება, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტი“. ღონისძიებას გაუძღვა ჯეისონ გიბსონი (პროფესიული და საგანმანათლებლო მომსახურების უფროსი კონსულტანტი, Turnitin). მან აკადემიის სტუდენტებსა და პერსონალს წარუდგინა პროგრამა Turnitin და განიხილა თემები:

- რა არის აკადემიური კეთილსინდისიერება და რატომ არის ის მნიშვნელოვანი?
- რა შეიძლება გავაკეთოთ აკადემიური კეთილსინდისიერების დონის გასაუმჯობესებლად და რა როლი ენიჭება Turnitin-ს ამ პროცესში.

ტრენინგის მსვლელობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დოკუმენტების მეტამონაცემების განხილვას და საავტორო ანგარიშის ინტერპრეტაციას. ღონისძიება ჩატარდა მსოფლიო ბიოეთიკის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, რომლებიც 2022 წელს ეძღვნება თემას „სოციალური პასუხისმგებლობა ჯანმრთელობისთვის“.



მოქმედების დრო: გამოწვევა - დაკვეთით შესრულებული დავალება

დაკვეთით შესრულებული დავალება აკადემიური ხარისხის სანდოობისა და სარწმუნოების თვალსაზრისით გამოწვევას წარმოადგენს არა მხოლოდ განათლების სფეროსთვის, არამედ საზოგადოებისთვისაც.

ღონისძიების ფარგლებში - „მოქმედების დრო: გამოწვევა - დაკვეთით შესრულებული დავალება“, ეკატერინე კლდიაშვილმა წარმოადგინა თსა-ს გამოცდილება აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის თვალსაზრისით ჯეისონ გიბსონთან (პროფესიული და საგანმანათლებლო მომსახურების უფროსი კონსულტანტი, Turnitin) საუბარში.

საერთაშორისო კონფერენციებზე მიღებული გამოცდილების გაზიარება

საერთაშორისო კონფერენციებსა და საზაფხულო სკოლებში მიღებული გამოცდილების გაზიარების მიზნით თსა-ში სამუშაო შეხვედრები გაიმართა.

პროგრამის ხელმძღვანელმა ცისანა ლომაშვილმა, ვიცე-რექტორმა კვლევის მიმართულებით ეკატერინე კლდიაშვილმა, თსა-ს ფაკულტეტის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მაკა ზარნაძემ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნინო სიხარულიძემ და სამედიცინო განათლების სპეციალისტმა დეა გოდერძიშვილმა კოლეგებს ევროპის სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის (AMEE) და ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის (AMSE) მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებზე მიღებული გამოცდილება გაუზიარეს.

საერთაშორისო პროექტების კოორდინატორმა ხათუნა ხატიაშვილმა, სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობების კურატორმა საბა იორდანიშვილმა, ინსტიტუციური კულტურის განვითარების დეპარტამენტის უფროსმა მაკა მაღლაკელიძემ და საგამოცდო ცენტრის კოორდინატორმა ვახტანგ დეისაძემ ნიდერლანდებში, რადბაუდის უნივერსიტეტში საზაფხულო სკოლაში მიღებული გამოცდილების შესახებ ისაუბრეს.

მიმდინარე პროექტების კოორდინატორმა ნატალია კოჭლაშვილმა კი აუდიტორიას გაუზიარა Erasmus-ის პროექტის, თანამშრომელთა მობილობის პროგრამის ფარგლებში რადბაუდის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ისტორია და სამომავლო გეგმები.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა. შეხვედრების ფარგლებში მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, განეხილათ და ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ სიახლეები, გამოცდილება, გამოწვევები და შესაძლებლობები სამედიცინო განათლების განვითარების, პედაგოგების პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და შემდგომი საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების კუთხით.

განათლება და პარტნიორობები

თბილისის ნეიროქირურგიული სიმპოზიუმი

საქართველომ "თბილისის ნეიროქირურგიულ სიმპოზიუმს“ უმასპინძლა. სიმპოზიუმის პროგრამა მოიცავდა არა მხოლოდ ნეიროქირურგიას, არამედ ნევროლოგიას, ნეირორადიოლოგიასა და სხვა მომიჯნავე სფეროებს.

სიმპოზიუმის ფარგლებში გამართულ პანელურ დისკუსიაში თბილისის სამედიცინო აკადემიის ასოცირებულმა პროფესორმა, ფაკულტეტის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მაკა ზარნაძემ მიიღო მონაწილეობა. დისკუსიის თემა იყო „გამოწვევები სამედიცინო განათლებაში საქართველოში“.

პანელის მონაწილეებმა მიმოიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი თემები როგორიცაა სტუდენტთა მენტალური ჯანმრთელობის საკითხები სამედიცინო სკოლებში, ნეიროქირურგიის სასწავლო კურსის ადგილი საგანმანათლებლო პროგრამაში, კლინიკური უნარ-ჩვევების განვითარება სტუდენტებში, გამოწვევები კლინიკური სწავლების ეტაპზე და სხვ. პანელის მონაწილეებმა ასევე უპასუხეს დამსწრე საზოგადოების შეკითხვებს.

სტრუქტურირებული ზეპირი გამოცდა - SOE

სამედიცინო განათლების ინოვაციების ცენტრის (CIMED) ინიციატივითა და მხარდაჭერით, თსა-ში პირველი სემესტრის სტუდენტებს სტრუქტურირებული ზეპირი გამოცდა (SOE) ჩაუტარდათ. გამოცდას წინ უძღოდა პედაგოგების/ გამომცდელების ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები. გამოცდის მიზანი იყო - სტუდენტის მიერ ანატომიის, ფიზიოლოგიის, ჰისტოლოგიის სასწავლო კურსების და გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული სწავლების (TBL) სესიების ფარგლებში შეძენილი ცოდნის ვერბალიზაციის უნარის შეფასება.



საგანმანათლებლო თამაში Bacteria Game

თსა-ში საპილოტე რეჟიმში ჩატარდა ინოვაციური საგანმანათლებლო თამაში Bacteria Game. თამაშში მონაწილეობდნენ მესამე, მეოთხე და მეხუთე სემესტრის სტუდენტები და აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები.

Bacteria Game - ეს არის ინოვაციური საგანმანათლებლო თამაში, რომელიც შეიქმნა პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში, საფრანგეთის მიკრობიოლოგთა ასოციაციის მხარდაჭერით.

თამაშის პრინციპი მარტივია - მოთამაშეებმა კლინიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ბაქტერიების სახალისო ნახატები უნდა დაუკავშირონ მათ შესაბამის მახასიათებლებს და ამავე დროს, იმავე პრინციპით, ამოიცნონ მოწინააღმდეგის ბაქტერია.

კონფერენცია "სამედიცინო სიმულაციები - მომავლის ხედვა"

თსა-ს ვიცე-რექტორმა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით და SAFEMED+ პროექტის კოორდინატორმა ია ავალიანმა და თსა-ს კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრისა და SAFEMED+ პროექტის ხელმძღვანელმა აკაკი სეფაშვილმა მონაწილეობა მიიღეს კონფერენციაში "სამედიცინო სიმულაციები - მომავლის ხედვა". ონლაინ კონფერენცია ბუკოვინის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (უკრაინა) ეგიდით გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში აკაკი სეფაშვილმა წარადგინა მოხსენება SAFEMED+-ის დისემინაციის შესახებ. მიმოიხილა პროექტის ძირითადი მიზნები, შედეგები და გამოწვევები.



Akaki SEPASHVILI

განათლება და პარტნიორობები

ათათურქის უნივერსიტეტის დელეგაცია თსა-ში

თბილისის სამედიცინო აკადემიამ ათათურქის უნივერსიტეტის დელეგაციას უმასპინძლა. ვიზიტის ფარგლებში თსა-ს ათათურქის უნივერსიტეტის რექტორი ომერ ჩომაკლი, სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორები და საერთაშორისო ოფისის წარმომადგენლები ეწვივნენ.

სამუშაო ვიზიტის მიზანი იყო თსა-სა და ათათურქის უნივერსიტეტს შორის არსებული თანამშრომლობის გაღრმავება და სამომავლო პროექტების განხილვა. ამავდროულად, განახლდა მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს თსა-ს სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებას, ერთობლივი სამეცნიერო თუ კულტურული აქტივობების განხორციელებას, კონფერენციებსა და ტრენინგებში მონაწილეობას.

ათათურქის უნივერსიტეტი თსა-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორია. გასულ წელს, თსა-ს სტუდენტებმა ათათურქის უნივერსიტეტის კვლევით კლინიკაში საზაფხულო სტაჟირება გაიარეს.

თსა-ს დელეგაციის ვიზიტი ერევანში

Erasmus + პროექტის SAFEMED+-ის შედეგების დისემინაციის და იმპლემენტაციის მიზნით, თსა-ს დელეგაცია სამუშაო ვიზიტით ერევანში (სომხეთი) იმყოფებოდა. დელეგაციას, მასპინძლობდა ერევნის მხითარ ჰერაცის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და ჰაიბუსაკის უნივერსიტეტი.

თსა-ს დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ თსა-ს ვიცე რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით და SAFEMED+ პროექტის კოორდინატორი ია ავალიანი, კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის ხელმძღვანელი აკაკი სეფაშვილი, საფინანსო სამსახურის წარმომადგენელი ქრისტინე სახელაშვილი და თსა-ს მოწვეული პედაგოგი მანანა კუთხაშვილი.

სამუშაო შეხვედრის ფარგლებში ჩატარდა OSCE-ის ტრენინგები, სადაც განიხილეს სცენარების შემუშავება კომპიუტერული OSCE-თვის. გარდა ამისა, შეხვედრები გაიმართა კონსორციუმის ხარისხის კონტროლისა და ფინანსური მენეჯერებისათვის. შეხვედრა ფართოდ გაშუქდა ადგილობრივი მედიის მიერ.

2023, თებერვალი ტრენინგები თსა-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის

თსა-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე - კლინიკური ქეისების ორგანიზება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური (OSCE) გამოცდისათვის.

ტრენინგი მომზადდა Erasmus + SAFEMED (Simulation in Undergraduate Medical Education for Improvement of Safety and Quality of Patient Care) პროექტის ფარგლებში მიღებული საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე და მას უძღვებოდნენ პროექტში ჩართული თსა-ს აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები მანანა კუთხაშვილი და ცისანა ლომაშვილი. ტრენინგის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდისათვის კლინიკური შემთხვევის გამოცდისათვის კლინიკური შემთხვევის ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს, გადანაწილდნენ ჯგუფებში და სამუშაო ჯგუფებში შექმნეს როგორც კლინიკური ქეისების სცენარები სტანდარტიზებული პაციენტისათვის, ასევე სტუდენტის შეფასების ფორმები. ტრენინგების სერია მოიცავდა საკითხს როგორ შევქმნათ სტანდარტული ტესტი MCQ (Multiple Choice Question). ტრენინგი ჩაატარა თსა-ს საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელმა ვახტანგ დეისაძემ.

თსა-ს სოციალური პასუხისმგებლობა

სოფლის ექიმის ექვსი დღე

გვაძლევს თუ არა მედიცინისა და ხელოვნების თანხვედრა კომპლექსური საკითხების გაგების საშუალებას, როგორიცაა სამედიცინო პროფესიონალიზმი? თსა-მ ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად ახალი, სრულიად განსხვავებული, ტრანს-დისციპლინური ხასიათის სტუდენტური ფოტოპროექტი განახორციელა.

პროექტის ფარგლებში ზემო აჭარაში ორგანიზებული ექსპედიციის მონაწილე თსა-ს ექვსი სტუდენტი ერთი კვირის განმავლობაში სხალთაში, ღორჯომში და დაბა ხულოში სოფლის ექიმების ყოველდღიურობასა და სამუშაო პროცესს აკვირდებოდა და ფოტოკამერით აღბეჭდავდა.

ამ ინიციატივის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ მომავალ ექიმებს შესაძლებლობა ჰქონდათ სოფლის ექიმის შრომა გვერდიდან დაენახათ, წარმოეჩინათ მათი როლი და ფირზე აღებეჭდათ სამუშაო პროცესი. პროექტი, რომელიც თბილისის სამედიცინო აკადემიის ინსტიტუციურ კულტურას და მისიას ეხმიანება, მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, აამაღლოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ექიმების ცნობადობა და მეორე მხრივ ხელი შეუწყოს სოფლებში ახალგაზრდა ექიმების დასაქმების მოტივაციას. ფოტოპროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე სტუდენტებმა ისწავლეს ფოტოგრაფიის საფუძვლები, ორთვიანი მოსამზადებელი ეტაპი ფოტოგრაფთან და პროექტის თანაავტორთან, ლელი ბლაგონრავოვასთან ერთად გაიარეს და ასევე, ამბის თხრობის, წერის ტექნიკასაც დაეუფლნენ.

პროექტის დასკვნით ეტაპზე გაიმართა ფოტოგამოფენა და ჟურნალის პრეზენტაცია, რომელშიც მოთხრობილია სტუდენტების შთაბეჭდილებები და მათ მიერ გადაღებული ფოტომასალა.

მენტალური ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების დღე

მენტალურ ჯანმრთელობას ისეთივე მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ადამიანის კეთილდღეობაში, როგორც ფიზიკურს. ბოლო ათწლეულების განმავლობაში მენტალური დაავადებების შესახებ არსებულმა ინფორმაციამ საგრძნობლად იმატა, თუმცა ეს დაავადებები ბევრი ადამიანისთვის მაინც ბურუსითაა მოცული და მრავალ სტიგმასთან არის დაკავშირებული.

მეცნიერთა კლუბის ორგანიზებით ამ საკითხთან დაკავშირებით დისკუსია გაიმართა. თსა-ს სტუდენტებმა აუდიტორიას წარუდგინეს პრეზენტაციები მენტალური ჯანმრთელობის შესახებ, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა თემას: კვებითი აშლილობა, დეპრესია, ჰორდინგის დაავადება, მკურნალობის გზები და სხვ. მოწვეულმა ფსიქიატრმა დიანა ვერდაძემ ისაუბრა თუ რა ფორმით გვხვდება საქართველოში მენტალურ დაავადებებთან დაკავშირებული სტიგმა. მიმოიხილა საქართველოში და ზოგადად, მსოფლიოში არსებული დღევანდელი მდგომარეობა, ცნობილი და ნაკლებად ცნობილი მენტალური დაავადებები, მათი გამომწვევი ფაქტორები, მკურნალობის გზები და მათთან დაკავშირებული თანამედროვე კვლევები.

თსა-ს სოციალური პასუხისმგებლობა

ალცჰაიმერის შესახებ ცნობიერების ამაღლების დღე

თსა-ში ალცჰაიმერის დაავადების შესახებ ცნობიერების ამაღლების დღე აღინიშნა. ღონისძიება დენდი თსა-ს ლოკალური კლუბის ორგანიზებითა და საქართველოს ალცჰაიმერის ასოციაციასთან თანამშრომლობით ჩატარდა. თსა-ს სტუდენტებმა მიმოიხილეს დაავადებასთან დაკავშირებული საკითხები: დაავადების კლინიკური ნიშნები, მისი დიაგნოსტიკა, დიფერენციაციული დიაგნოზი, მკურნალობის გზები, ამ მიმართულებით არსებული უახლესი კვლევები და სხვ. ღონისძიებაში ასევე მონაწილეობდნენ ალცჰაიმერის ასოციაციის წარმომადგენლები, პროექტის კოორდინატორი/ასოციაციის პრეზიდენტის ასისტენტი ანა კიკნაძე და პროექტ-მენეჯერი ლუკა დიასამიძე. მათ ყურადღება გაამახვილეს ალცჰაიმერის დაავადებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, სტიგმასა და გამოწვევებზე.

თსა-ს სტუდენტმა საბა ჩიქობავამ აუდიტორიას წარუდგინა მისი და თსა-ს სტუდენტების ჩართულობით განხორციელებული კვლევა, "A-251 მსუბუქი კოგნიტიური დარღვევის (MCI) თემზე დაფუძნებული გრძივი კვლევა საქართველოში". კვლევა ეხებოდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა დემენცია. დემენცია არის პროგრესირებადი აშლილობა, რომელიც დაკავშირებულია კოგნიტიური ფუნქციის დაქვეითებასთან და ყოველდღიური აქტივობების შესრულების უნართან.

კვლევა გამოქვეყნებულია ოქსფორდის ნეიროფსიქოლოგიის ჟურნალში.

https://academic.oup.com/acn/article-abstract/37/6/1395/6669008?redirectedFrom=fulltext&fbclid=IwAR1PMNXMEStAMrLbZlAihwO9PC5Kn-sHTMXXl6HT-86o8AlxICnCMsiz9Mc&login=false

დისკუსია ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე

თსა-ში ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ დისკუსია გრძელდება. თსა-ს ფსიქოლოგი ანი რაინაული სტუდენტებს ინტერაქციული შეხვედრის ფორმატში დეპრესიისა და სტრესის მართვის აუცილებლობაზე ესაუბრა. ასევე, მიაწოდა ინფორმაცია იმ საკონსულტაციო სერვისის შესახებ, რომელსაც თსა სტუდენტებს სთავაზობს.

სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისი გულისხმობს ფსიქო-კონსულტაციას, რომლითაც სარგებლობა თსა-ს ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია. კონსულტაციის ფარგლებში ფსიქოლოგი ესაუბრება სტუდენტს ინდივიდუალურად და რეაგირებს სიტუაციის შესაბამისად.

შეხვედრაზე თემატური პრეზენტაცია წარადგინა თსა-ს ორმა სტუდენტმა. ლიზი მოყვანიძე აუდიტორიას ესაუბრა თემაზე - "მენტალური აშლილობები მხატვრობაში" და ვრცლად მიმოიხილა თუ როგორ გამოიხატებოდა დეპრესია, ბიპოლარული აშლილობა და შფოთვითი აშლილობა ცნობილი მხატვრების ნამუშევრებში.

მედეა კუსიანმა კი განიხილა ნერვული და ფსიქიკური აშლილობები ხელოვნებაში. როგორც მხატვრობაში, ასევე არქიტექტურაში, ლიტერატურაში და კინემატოგრაფიაში.

თსა-ს სოციალური პასუხისმგებლობა

პოდკასტი "ვარდისფერი ოქტომბერი"

კამპანიის "ვარდისფერი ოქტომბერი" ფარგლებში, ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით თსა-ს პოდკასტს სტუმრობდნენ ეთერ კიღურაძე - ეროვნული სკრინინგ ცენტრი-ის დირექტორი, თსა-ს კურსდამთავრებული და ანა მაზანიშვილი - EUROPA DONNA GEORGIA-ს პრეზიდენტი, კავკასიის ონკო საზოგადოება „ჰოუფის" დამფუძნებელი.

ჩვენ მოვიგეთ ეს ბრძოლა - კამპანია „ვარდისფერი ოქტომბერი"

ოქტომბრის თვე ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლებას ეძღვნება. კამპანიის "ვარდისფერი ოქტომბერი" ფარგლებში თსა-ს სტუდენტები „ევროპა დონა საქართველოს" სივრცეში ონკო-პაციენტებს შეხვდნენ, ქალებს, რომლებმაც დაამარცხეს ძუძუს კიბო, ან ახლა გადიან ამ გზას. შეხვედრა მიზნად ისახავდა რეალური პაციენტების რეალური ისტორიების მოსმენას, ექიმის როლის და მნიშვნელობის კიდევ უფრო ღრმად გააზრებას და იმ კავშირის აუცილებლობის დანახვას, რომელიც ექიმსა და პაციენტს შორის ასეთი მნიშვნელოვანია.

ხატვის კონკურსი "ვარდისფერი ოქტომბერი"

მედიცინის და ხელოვნების ურთიერთგავლენით, ახალი ცოდნა და შემოქმედებითი აზროვნება იბადება, სწორედ ამ მიზნით, თსა-მ სტუდენტებისთვის უკვე მეორედ გამოაცხადა ხატვის კონკურსი, რომელიც კამპანიის "ვარდისფერი ოქტომბერი" ფარგლებში გაიმართა და ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლებას მიეძღვნა. სტუდენტებმა თავად გამოავლინეს საუკეთესო ნამუშევარი, რომლის ავტორიც დასაჩუქრდა.

„სოფლის ექიმის ექვსი დღე" - პანელური დისკუსია

თსა-მ განახორციელა ტრანს-დისციპლინური ხასიათის პროექტი "სოფლის ექიმის 6 დღე", რომელიც აკადემიის ინსტიტუციურ კულტურას და მისიას ეხმიანება და მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, აამაღლოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ექიმების ცნობადობა და მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს სოფლებში ახალგაზრდა ექიმების დასაქმების მოტივაციას. ფოტოპროექტის მონაწილე სტუდენტებმა პანელური დისკუსია გამართეს. თსა-ს სტუდენტებმა ნინო გაგუამ, მარიამ მამისაშვილმა, ელენე გუბელაძემ, ნანუკა ყაჭიურმა, მარიამ ჯორბენაძემ და ირინკა ისიანმა თანატოლებს გაუზიარეს პროექტის განხორციელების პროცესში მიღებული გამოცდილება და შთაბეჭდილებები.

საუბრის ძირითადი დრო დაეთმო პროექტის მონაწილე სტუდენტების მაღალმთიანი აჭარის სოფლებში, სხალთაში, დაბა ხულოსა და ღორჯომში ჩატარებულ ექსპედიციას. გოგოებმა აუდიტორიას გააცნეს მაღალმთიანი აჭარის ექიმების მრავალფეროვანი ცხოვრება და თანატოლებს საკუთარი პერსპექტივიდან დანახული ექიმის პროფესია გაუზიარეს. სტუდენტები ერთი კვირის განმავლობაში ადგილობრივ სოფლის ექიმებთან ერთად ცხოვრობდნენ და მათ ყოველდღიურ ყოფასა და სამუშო პროცესს ფოტოკამერით აღბეჭდავდნენ. ასევე, ფოტოების პარალელურად ჩანაწერებსაც აკეთებდნენ.

პროექტის დასკვნით ეტაპზე გაიმართა ფოტოგამოფენა და გამოიცა ჟურნალი, რომელიც პროექტის მონაწილე სტუდენტების მიერ გადაღებული ფოტოებს და მათ ჩანაწერებს აერთიანებს.



თსა-ს სოციალური პასუხისმგებლობა

ხელოვნება, როგორც თერაპია

თსა-მ უმასპინძლა გამოფენას სახელწოდებით „ხელოვნება, როგორც თერაპია“, რომელიც კიბოს მსოფლიო დღეს მიეძღვნა. აკადემია უკვე ორი წელია თანამშრომლობს ონკო საზოგადოება “ჰოუფთან” ძუძუს კიბოს შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების მიმართულებით და ეს დღე ინსტიტუციური პარტნიორობის ჭრილში გამოფენით აღინიშნა.

გამოფენაზე მოსულ დამთვალიერებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ გასცნობოდნენ იმ ქალების ნახატებსა და ნაქსოვ სამოსს, რომლებიც ძუძუს კიბოს ებრძვიან და თავიანთ ემოციებსა და სათქმელს ხელოვნებით გადმოსცემენ. გამოფენაზე ასევე წარმოდგენილი იყო თსა-ს სტუდენტების ნახატებიც, რომლებიც მათ სხვადასხვა დროს კამპანიის „ვარდისფერი ოქტომბერი“ ფარგლებში დახატეს.

თსა-ს სტუდენტები პირადად გაესაუბრნენ ონკო პაციენტ ქალებს, გაეცნენ მათ პირად ისტორიებს, გაიგეს მათი ყოველდღიური ცხოვრების გამოწვევები და გამარჯვებები. თითოეულმა ქალმა აუდიტორიას საკუთარი გამოცილების შესახებ უამბო, თუ როგორ გაიარა ან ახლა გადის ამ გზას.

ასევე, თბილისის სამედიცინო აკადემიასა და კავკასიის ონკო საზოგადოება „ჰოუფს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმიც გაფორმდა. მემორანდუმი ითვალისწინებს მედიცინის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის განვითარებასა და ხელშეწყობას საქართველოში, კერძოდ, ონკოლოგიური დაავადებების მქონე

სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას; თსა-ს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად თსა-ს სტუდენტებისთვის ონკოლოგიური პაციენტების ბიო-ფსიქო-სოციალური კონტექსტის გაცნობას, მათი პროფესიული ცოდნის გაღრმავებას და სხვ.

თსა-ს ალუმნი კლუბი

თბილისის სამედიცინო აკადემიაში კურსდამთავრებულთა (ალუმნი) კლუბი დაარსდა. კლუბის მიზანია გააერთიანოს თსა-ს სტუდენტები, კურსდამთავრებულები და ადმინისტრაციული პერსონალი, ჩამოაყალიბოს და განავითაროს სოციალური და პროფესიული კავშირები კლუბის წევრებს შორის და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნის გამოყენებით წარმართოს სხვადასხვა თემაზე ორიენტირებული აქტივობები. ასევე, ხელი შეუწყოს კურსდამთავრებულთა ისტორიების პოპულარიზაციას ბლოგებითა და სოციალური მედიის სხვა არხებით.

შეხვედრის ფარგლებში აუდიტორიას საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს თსა-ს სხვადასხვა თაობის კურსდამთავრებულებმა - ეროვნული სკრინინგ ცენტრის დირექტორმა ეთერ კიღურაძემ და თბილისი გულის ცენტრის კარდიო-ინტენსიური განყოფილების ხელმძღვანელმა, ინტერვენციულმა კარდიოლოგმა ზვიად კერესელიძემ. ორივე მათგანმა ხაზი გაუსვა ალუმნი კლუბის დაარსების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ მათი სურვილია ითანამშრომლონ მათ მომავალ კოლეგებთან მენტორობის პროგრამების, ლექციების თუ ვორქშოპების ფარგლებში.

სტუდენტური ცხოვრება

გაცვლითი პროგრამები სტუდენტებისათვის

2022 წლის სექტემბრიდან 2023 წლის თებერვლის ჩათვლით სტუდენტები იმყოფებოდნენ ბილატერალური გაცვლითი პროგრამებით ჩეხეთისა და ვილნიუსის უნივერსიტეტებში. გაცვლითი პროგრამები სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებსა და კლინიკებში გაიარონ სტაჟირება და განათლების ადრეული ეტაპიდანვე მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება.

პირველკურსელთა მიღება

თსა-ს პირველკურსელთა მიღების ცერემონია გაიმართა. 2022-2023 სასწავლო წლისთვის თსა-მ სამკურნალო საქმის პროგრამაზე 45, ხოლო მედიცინის პროგრამაზე 30 სტუდენტი მიიღო. საზეიმო ღონისძიება კუს ტბაზე გაიმართა.

შვიდკაცა რაგბი

თსა-ს სტუდენტური სპორტული კლუბის ინიციატივით, შვიდკაცა რაგბის ამხანაგური თამაშები გაიმართა. თსა-ს გუნდმა „წიქარას“ და „სოხუმის“ გუნდებს უმასპინძლა.

სტუდენტური ცხოვრება

კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ღონისძიება

თსა-ს 2023 წლის ინგლისურენოვანი მედიცინის პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ცერემონია გაიმართა.
დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაცია კიდევ 28 კურსდამთავრებულს მიენიჭება!
ღონისძიების მსვლელობისას, სპეციალური ჯილდო გადაეცა პროფესორ ლაშა გულბანს, რომელიც სტუდენტებმა მათ საუკეთესო ლექტორად დაასახელეს.
ასევე, საჩუქარი გადაეცა საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტს ჯოი შარონ მარიას.

მსოფლიო ჩემპიონატი ბაკურიანში

თსა-ს სტუდენტები მოხალისეებად იმყოფებოდნენ ბაკურიანში, რომელიც მასპინძლობდა მსოფლიო ჩემპიონატს ფრისტაილში, სნოუბორდსა და ფრისკიში. ჩვენი სტუდენტები გადანაწილებული იყვნენ სათხილამურო ტრასებზე და მეთვალყურეობას უწევდნენ სპორტსმენებს.

მეომრებს შორის

ტონი ვარგჰესე, თსა-ს სტუდენტი

შეხვედრის ადგილი: ევროპა დონა საქართველოს ოფისი, ვარდისფერი სივრცე.

გარემო: თსა-ს სტუდენტები ხვდებიან ძუძუს კიბოს მქონე ქართველ პაციენტებს.

შენ ხარ ლამაზი, შენ ხარ ძლიერი და შენ ყველაფერი შეგიძლია!

იმ დღეს ცოტა დამაგვიანდა სამგორში გადატვირთული მოძრაობის გამო. თსა-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელი პეკინის ქუჩაზე მელოდებოდა, ზუსტად LC Waikiki-ის მაღაზიის წინ. ფეხით ავედით "ევროპა დონა საქართველოს" ოფისამდე, სადაც მოლოდინი მქონდა, რომ დამხვდებოდნენ სუსტი, გულგატეხილი, სასოწარკვეთილი ადამიანები, რომლებიც დახმარებას ელიან. თავიდან არ მიფიქრია იმაზე, თუ რატომ გადავწყვიტე წამოვსულიყავი ისეთ ადგილას, სადაც უნდა დამხვედროდნენ სასოწარკვეთილი, დახმარების მომლოდინე ადამიანები, არა და ეს ხომ ისაა, რასაც მთელი დარჩენილი ცხოვრება უნდა ვუყურო? რატომ დავიწყო ეს ახლავე? მიუხედავად ამ ფიქრისა, მაინც გადავწყვიტე შეხვედრაზე წასვლა.

ოთახში რომ შევედი, ქალის ლამაზი სიცილის ხმა მომესმა, რომელსაც თიკო ერქვა და ვარდისფერ სამოსში იყო გამოწყობილი.
თსა-ს თანამშრომელი ლანა სწრაფად წამოდგა და ადგილი დამითმო. დავჯექი თუ არა დავინახე ქალი, რომელსაც თმა წითლად შეეღება და ლამაზი წითელი მოსასხამი ეცვა, ხელში კი, მშვენიერი ვარდისფერი ვარდი ეკავა.
ჩემი მზერა მიიპყრო ჩემს წინ მჯდომმა მოსაუბრე ქალმა, მის უკან კი დავინახე სურათი, რომელზეც აღბეჭდილი იყო სამი ქალი, ფოტოზე კი იყო წარწერა "შენ ხარ ლამაზი, შენ ხარ ძლიერი და შენ ყველაფერი შეგიძლია!"

ქალებმა გაგვიზიარეს საკუთარი გამოცდილება თუ როგორ აღმოაჩინეს ეს დაავადება და ისიც, თუ წამიერად როგორ დაემსხვრათ ცხოვრება. საზოგადოება თვლის, რომ „კიბო განაჩენია", მაგრამ ამ ქალებმა დამანახეს, რომ „შოუ ჯერ არც კი დაწყებულა". იმ ადგილას, სადაც მათ დახმარება და მზრუნველობა სჭირდებოდათ, რათა დარწმუნებულიყვნენ რომ ყველაფერს მოერეოდნენ და გადალახავდნენ ვერ მიიღეს. მათ ეს ყველაფერი საკუთარი ძალებით შეძლეს, მათ ეს გააკეთეს ისე, როგორც ერთ-ერთმა მებრძოლმა პაციენტმა, რომელმაც აღნიშნა, რომ „მე ვარ 2008 წლის ომში გადარჩენილი, ეს ჩემთვის არაფერია, მე ახლაც გადავრჩები".

შეხვედრამ ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. იქ, სადაც სუსტ, სასოწარკვეთილ და უმწეო ადამიანებს ველოდი, მეომრები დავინახე. ძლიერი, მოაზროვნე მეომრები, რომლებიც დასცინიან თავიანთ მტერს, მათი ისტორია ნამდვილად შთამაგონებელია ჩემთვის, როგორც ადამიანისთვის, რომელიც ერთ დღეს ექიმი გახდება. და მე უკვე ვიცი, რა ამბავს მოვუყვები ჩემს წინ მდგომ ძუძუს კიბოთი დაავადებულ ადამიანს.
ვიცი, რომ ეს ქალები ასი ათასობით ქალს აძლევენ რწმენას, აძლევენ შთაგონებას კაცობრიობას.

მათი სიცილი იყო გადამდები, რადგან მე მეომრებს შორის ვიდექი...

ტონი ვარგჰესე

ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპი

მე ვარ ლიკა, თბილისის სამედიცინო აკადემიის მეხუთე კურსის სტუდენტი. ერთ სემესტრიანი გაცვლითი პროგრამით ვარ ჩეხეთში, მაზარიკის უნივერსიტეტში. მსგავსი გამოცდილება ჩემთვის პირველი არაა, პირველი კურსის ბოლოსაც მომეცა საშუალება ქვეყნის გარეთ გავცნობოდი ლიეტუვას სამედიცინო სისტემას, ახლოდან მენახა სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროცედურა.ეს გამოცდილება ჩემთვის, როგორც პირველკურსელისთვის ძალიან საინტერესო და ამაღელვებელი იყო. იმის მიუხედავად, რომ ის ერთი თვე ალბათ არასდროს დამავიწყდება, აქ მიღებული გამოცდილება არც შეედრება სხვა გამოცდილებებს ჩემს ცხოვრებაში. სამედიცინო უნივერსიტეტის ბოლო წლები ჩემთვის უფრო საინტერესო აღმოჩნდა, ვფიქრობ არ ვარ ამაში გამონაკლისი და მადლიერი ვარ, რომ ასეთი მნიშვნელოვანი სემესტრის გატარება მაზარიკის უნივერსიტეტში მიწევს.

ძალიან სასიამოვნო გამოცდილება მივიღე ლექტორებთან ურთიერთობით. არ შემიძლია არ აღვნიშნო მათი კეთილგანწყობა უცხოელი სტუდენტების მიმართ. დაბნეულობა და გაურკვევლობა ძალიან იშვიათად გვქონდა, რადგან მზად იყვნენ ყველა კითხვაზე პასუხი გაეცათ ან დაგვხმარებოდნენ გაურკვეველი საკითხების გარკვევაში. ასევე, დასაფასებელია ის, რომ საშუალებას გვაძლევდნენ პაციენტებთან გვქონოდა კომუნიკაცია, ბევრჯერ გავსინჯეთ და შევკრიბეთ ანამნეზი დამოუკიდებლად, რასაც შემდეგ პრეზენტაციაში ვკრებდით და წარვუდგენდით ჯგუფს. ეს საშუალებას გვაძლევდა აქტიურად ვყოფილიყავით ჩართულები სასწავლო პროცესში, იმის მიუხედავად, რომ ყოველდღიური შეფასება ან გამოკითხვა არც ერთ საგანში გვქონია. ასევე მნიშვნელოვანი დაბრკოლება უნდა ყოფილიყო ენის ბარიერი, ვგულისხმობ ჩეხურ ენას პაციენტებთან კომუნიკაციისას, თუმცა, მსგავს დისკომფორტთანაც არასდროს გვქონია შეხება, ისინი ითვალისწინებდნენ ჩვენს მდგომარეობას და გვირჩევდნენ ისეთ პაციენტებს რომლებთანაც შევძლებდით ინგლისურად საუბარს.

შთამაგონებელია მათი სიყვარული და ერთგულება საქმის მიმართ. ვინაიდან დამამთავრებელი კურსის სტუდენტები ვართ, ხშირად გვეკითხებოდნენ, თუ რომელი სფეროს არჩევას ვაპირებდით, სად ვფიქრობდით სწავლის გაგრძელებას, ასევე გვაძლევდნენ გულახდილ რჩევებს მათ სფეროებთან დაკავშირებით. ვფიქრობ, ამ დამოკიდებულებამ და მათი გამოცდილების გაზიარებამ ჩემში ბევრი დამაბნეველი გარემოება შეამცირა. დამეთანხმებით, ძალიან რთულია ისეთი ნაბიჯის

გადადგმა, როცა შენი ცხოვრება ერთ მცირე მიმდინარეობას უნდა დაუკავშირო, როცა არჩევანი ასე მრავალფეროვანია.

საგამოცდო და შეფასების სისტემა ძალიან განსხვავებულია, რამაც ბევრი დაბნეულობა გამოიწვია ჩემში, თუმცა აქაური კოორდინატორები ძალიან ოპერატიულად გვაწვდიდნენ ინფორმაციას და გვეხმარებოდნენ პრობლემების გადაჭრაში. ვფიქრობ ქართული შეფასების სისტემა ბევრად კომფორტულია ჩემთვის, იმის მიუხედავად, რომ მაზარიკის უნივერსიტეტის სისტემას ბევრი დადებითი აქვს: უფრო ჯანსაღია, ვგულისხმობ იმას, რომ ქულით შეფასება ძალიან სტრესულია, გამოცდის ჩაბარება საგნის დამთავრებისთანავე არ გიწევს, თითოეულ საგანს აქვს პრაქტიკული და თეორიული ნაწილი, პრაქტიკისა და სალექციო ნაწილის დრო და კრედიტები გამიჯნულია, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ ისინი თანაბრად მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

საბოლოოდ, რამაც ყველაზე დიდი სიამოვნება მომანიჭა, იყო საშუალება მემოგზაურა ევროპის ბევრ ქვეყანაში. ვფიქრობ, მოგზაურობა არის ყველაზე კარგი საშუალება განათლების მიღების, გამოცდილებების დაგროვების. ვინაიდან სწავლის გრაფიკი ძალიან კომფორტული იყო, ვასწრებდით სხვადასხვა ქალაქის დათვალიერებას. ვფიქრობ, ბრნო არცერთს ჩამორჩება, რადგან არის კომფორტული, უსაფრთხო და მშვიდი ქალაქი, სეზონები ლამაზად ენაცვლება ერთმანეთს, ნამდვილად საუკეთესო გარემოა სტუდენტისთვის.

სხვანაირი ახალი წელი

კიოში იამაშიტა - „ნაგაოკას ფეიერვერკი“, 1950

კორონას შემდგომი პერიოდი

კიდევ ერთი წელი იწურება. და სწორედ ახლაა იმის დრო, რომ გადავხედოთ განვლილს, დავფიქრდეთ და ხელახლა გადავაფასოთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, დროა ჩვენს გულში ჩავიხედოთ მანამ, სანამ საათი ბოლო წუთების ათვლას დაიწყებს, შუაღამე დადგება და წვეულების დრო მოვა! ამ დღესასწაულის ყველაზე თვალსაჩინო ნიშანი ხომ ფეიერვერკია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2020 წლიდან მოყოლებული ეს არის პირველი ახალი წელი, რომელსაც მსოფლიო ხვდება კორონასთან დაკავშირებული შეზღუდვების გარეშე. როგორი შვებაა! ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი გაიხსნა, მუზეუმები, თეატრები, რესტორნები, კლუბები, კაფეები; შეგვიძლია ჩავეხუტოთ ერთმანეთს, ვესტუმროთ ერთმანეთს სახლშიც, უკვე ვესწრებით კონცერტებს, ღონისძიებებს და სიხარულით ვართ სავსე. თუმცა, ამასთან ერთად უკვე შემიძლია ვიწინასწარმეტყველო რა მოხდება 31 დეკემბერს თბილისის ცაზე. კორონას შემდგომ, საახალწლო სიხარულის ნებისმიერი ფორმით გამოხატვა რა თქმა უნდა, „მართებულია“, მაგრამ მოდით თვალი გადავავლოთ განვლილს და ყურადღება გავამახვილოთ კარანტინის ახლად დაწესებულ პერიოდზე, რომელიც 2020 წელს დაიწყო. ყველას გვახსოვს, თითქოს როგორ შეჩერდა სამყარო. როგორ ვსაუბრობდით ყველა ხმამაღლა, ან ჩუმად ვეჩურჩულებოდით საკუთარ თავს "თუ რას ნიშნავდა ეს ყველაფერი". რა გვასწავლა კორონამ? თითქოს სამყარომ ჩვენ ყველა, ადამიანები, საკუთარ სახლებში გამოგვკეტა, რომ თავად დაეწყო ახლიდან „სუნთქვა“. ჩვენ ალბათ ყველას გვახსოვს ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებული კვლევები და შეფასებები, რომელიც მკვეთრად გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც ჩვენ, ადამიანები საკუთარ სახლებში ჩავიკეტეთ და თითქოს გავაქრეთ ნახშირბადის ჩვენი კვალი დედამიწაზე. გამოვიტანეთ დასკვნა, რომ კონსუმერიზმი არის „ზედმეტი“; ჩვენ თითქოს ულაპარაკოდ შევთანხმდით, რომ „ნაკლები (ნამდვილად) მეტია“. დავპირდით საკუთარ თავს, რომ ვიყოთ უფრო გათვალისწინებულები გარემოს მიმართ და თავმდაბლები, მოვიხმაროთ მცირედი, ვიზეიმოთ ისე, რომ ნაკლებად დავაზიანოთ ჩვენი პლანეტა.

ფეიერვერკი, ჯანმრთელობა და გარემო

ფეიერვერკი წარმოქმნის ჰაერის დამაბინძურებლებს და აზიანებს გარემოს. მათი ფერები იქმნება ქიმიკატებისგან, რომლებიც წვის შემდეგ გადაიქცევა მყარ ნაწილაკებად და აირის დამაბინძურებელ გაზებად. ის ფაქტი, რომ დაბინძურებული ჰაერი არის "ჩუმი მკვლელი", როგორც ეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ აღნიშნა, სიახლეს აღარ წარმოადგენს. ჰაერის დაბინძურება გავლენას ახდენს მოსახლეობის 100%-ზე, ჯერ არ დაბადებული ბავშვებიდან დაწყებული, ხანდაზმულებით დამთავრებული. ის უფრო მეტ სიკვდილიანობას იწვევს, ვიდრე აივ/შიდსი და მალარია ერთად. ჰაერის შედარებით დაბალი დაბინძურების მქონე ქალაქებშიც კი ზარალდება ადამიანების ჯანმრთელობა. სწორედ ეს იყო ჩემი კვლევის მთავარი მიზანი, რომ შემესწავლა თუ რა გავლენას ახდენს ჰაერის დაბინძურება ასთმისა და ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების (ფქოდ) გამწვავებასა და ჰოსპიტალიზაციაზე*. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ჰაერის დაბინძურების დონის 10 მიკროგრამი კუბურ მეტრზე მატებაც კი, სპეციფიკურად კი აზოტის დიოქსიდში, ასოცირდება ამ ორი დაავადების გამო ჰოსპიტალიზაციის 11%-ით ზრდასთან ბერლინში, ქალაქში, სადაც დაბინძურების ზღვრული მაჩვენებლები არ აჭარბებდა ევროკავშირის მიერ დადგენილ ნორმებს. ფეიერვერკი ასევე იწვევს ტრავმებს. მხოლოდ აშშ-ში 2021 წელს დაფიქსირდა დაახლოებით 1500 სასწრაფო გადაუდებელი დახმარების გამოძახების შემთხვევა, რომელიც დაკავშირებული იყო ფეიერვერკით გამოწვეულ დაზიანებებთან, ხოლო 1100 ზიანის მომტანი შემთხვევა კი ასაფეთქებელი შუშხუნების შედეგი იყო. თუმცა, ეს ყველაფერი არ არის. განსაკუთრებით ზარალდებიან ცხოველები, ზიანდება მათი სმენის უნარი, ფეიერვერკები იწვევს მათში შიშს, რაც საბოლოოდ ცხოველთა სიკვდილიანობით სრულდება. გარდა ამისა, ცნობილია, რომ გაზითა და მყარი ნაწილაკებით დაბინძურებული ჰაერი იმავენაირად მოქმედებს ცხოველებისა და ფრინველების ჯანმრთელობაზე, როგორც ადამიანისაზე.

გაცნობიერებული მომავალი

უფრო ფრთხილები უნდა ვიყოთ. თბილისში ჰაერის დაბინძურების ნაკლები სადამკვირვებლო სადგურებია, ვიდრე „დასავლეთის ქალაქებში“, გვაწუხებს გიჟური საცობები და მანქანების სიჭარბე ქუჩებში. ხშირად, დაბინძურების დონე სცდება ზღვრულ მნიშვნელებს. ვწუწუნებთ, ვღელავთ ჩვენი და ჩვენი შვილების ჯანმრთელობაზე. მიუხედავად ამისა, როდესაც საქმე ეხება დღესასწაულებს, ქორწილებს, ახალ წელს, გვავიწყდება, რომ თითოეულ ჩვენგანს შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს და მოუფრთხილდეს გარემოს. იქნებ ამჯერად ვიყოთ განსხვავებულები?

მაკა მაღლაკელიძე,
ინსტიტუციური კულტურის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

* https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/35307034/